ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

№ 4.—1915 მიიღება ხელმოწერა 1915 წ. „თეატრი და ცხოვრება“-ზე 25 იანვარი



**მგოსანი ი. გრიშაშვილი**

სალიტერატურო-სამუსიკო საღამოს გამართვის გამო სახალხო სახლში 27 იანვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# № 4

## შინაარსი:


1. **მეთაური** — ყოველი ჩვენგანის მოვალეობა 1
2. **გ. ქუჩიშვილი** — ღამის ჩვენება, ლექსი „
3. **შალვა დადიანი** — ომი, პიესა არციბაშევისა 2
4. **გ. ჯაბაური** — გრ. ანაშვილი 3
5. **ქნარი** — ოჰ, რომ იცოდეთ... ლექსი “
6. **გ ახალციხელი** — ამონაკვნესი 4
7. **მიხ. ბოჭორიშვილი** — აგონია 5
8. **ზ. დათიაშვილი** — რწმენა „
9. **ა. შანშიაშვილი** — ქალი გრძნეული, დრამ. პოემა 1 მოქ. (გაგრძელება) 6
10. **მიხ. ნინოწმინდელი** — მოდი, მოდი .. ლექსი 8
11. **პ. დვანელი** — ბრძოლის ველზე (სურათი) 9
12. **მიხ. აბრამიშვილი** — „სიტყვა“ გრიშაშვილის პოეზიაში (დასასრული) 11
13. **ვ. გარრიკი** — ქართული სცენის ქურუმნი, — ნინო ჩხეიძე 12
14. **ქართული მუსიკა და დ. ი. არაყიშვილი** 14
15. **ქართული სახიობა** (რეცენზიები) 15
16. **მისაბაძი მაგალითი** 16
17. **წვრილი ამბები** „
**სურათები, შარჟები;** განცხადებანი


---

### ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

**კვირას, 25 იანვარს 1915 წ.**

**ქართული დრამატ. საზოგადოება** ახალი კლუბის დარბაზში გამართავს

# ლექციას

გრიგოლ რობაქიძე

წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემზე: **თანამედროვე პოეზიის ხასიათი** და ინდოეთის პოეტი **რაბინდრანატ თაგორი**

**დასაწყისი სრულს 12 საათზე.**

**ადგილების ფასი 1 მ. 50 კაპეიკიდან 50 კაპ.**

**მოწაფეთათვის 25 კ.**

ბილეთები იყიდება ახალი კლუბის მორიგე კარის კაცთან.

---

# სახალხო სახლი

**ქართველ მსახობთა ამხანაგობის მიერ**

წარმოდგენილი იქნება

**ორშანათს, 26 იანვარს**

# ედმონდ კინი

დრამა 5 მოქ.

**დასაწყისი $7^1/_2$ საათზე**

რეჟ. **ქორელი**

---

**პარასკევს, 30 იანვარს**

# ჰენრიხ მეფე ნავარიელი

დრამა 5 მოქ.

დასაწყისი $7^1/_2$ ს. რეჟ **მ. ქორელი**

---

უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა

**შაბათს, 31 იანვარს**

# დილით
# ლ ა ლ ა ტ ი

ისტ. დრ. 5 მოქ. ალ. სუმბათაშვილისა

ადგილების ფასი 1 მ. 20კან — 10 კ-მდე

რეჟისორი **ალ. წუწუნავა**

**ადმინისტრაცია ქართ. მსახ ამხ.**

---

ქართული სახალხო წარმოდ. მართ. წრე

**ორშაბათს, 28 იანვარს 1915 წ.**

## გ. ანაშვილის

სახალხო სცენაზე ათი წლ. მოღვაწეობის შესრულების გამო გამართავს სადღესასწაულო საღამოს. წარმოდ. იქნება

# ციმბირელი

კომ. 4 მოქ ა. ცაგარლისა

**მონაწილეობენ:** ქ-ნნი ს. ანკარა, ო. ლეჟავა, მატარაძისა, მ. რომანიშვილისა; ბ-ნნი გ. ანაშვილი (შეასრულებს სტეფან მაკარიჩს), ვ. გამყრელიძე, ნ. გოცირიძე, ი. ზურაბიშვილი, მამაჯანოვი, ა. მეტრეველი, ს. რომანიშვილი.

დასაწყისი საღამოს $7^1/_2$ საათზე

რეჟისორი **კ. შათირიშვილი**

---

**ნოქართა კლუბში** ხვალ, 26 იან. **ი. ჟივიძის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება**

# „ხ ა ნ უ მ ა“

# თეატრი და ცხოვრება

საოჯახო სალიტერატურო ჟურნალი

№ 4

წელიწადი მესამე

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., სალამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 4 კვირა 25 იანვარი 1915 წ.


4391

## 25 იანვარი

**ყოველი ჩვენგანის მოვალეობა.** ყოველი ჩვენგანი თავის მოვალეობის ნაათალს მაინც რომ პირნათლად ასრულებდეს სამშობლოს წინაშე, მაშინ აბუჩად აღარავინ აგვიგდებდა...

ჯერ კიდევ ვერ შეგვიგნია, რომ ჩვენი ბედი ჩვენვე უნდა გამოვჭედოთ ჩვენის საკუთარის ხელით, ჩვენის გამრჯელობით. .

ჩვენ დღემდე უმთავრესად ჩივილისა და მათხოვრობის გზას მივსდევდით...

დასაგმობია ერთიცა და მეორეც. .

სამშობლო გვავალებს: დღეს, როდესაც ქვეყანა არეულია და „ძალლი პატრონს ვ;-ღარა სცნობს“, ვიცნოთ ჩვენი ‿.ავი, თვითაზროვნობისა და თვითშემოქმედობის გზას შეუდგეთ...

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირი დამპალია, ერის აღორძინება ქვეიდან უნდა დაიწყოს ..

რა გზით?

ყოველი ქართველი, სამშობლოში თუ სამშობლოს გარედ მცხოვრებელი, მოვალეა ყოველის ღონისძიებით ეცადოს ქართული კულტუროსნობის გავრცელებას,—ამისთვის დიდნი საქმენი კი არაა საჭირო, არამედ დიდი სიყვარულ ი და თვითშეგნება: ყოველმა ქართველმა, სადაც კი იმყოფება, თვის მახლობელ-თანამემამულეთა შორის გაავრცელოს ქართული მწიგნობრობისა და თეატრის სიყვარული—ქართული წიგნი, ჟურნალი, გაზეთი; ერთი სიტყვით ყოველივე ის, რაც გამოჰხატავს ქართულ აზროვნება-მისწრაფებას, შეადგინოს დრამატიული წრე ანუ წ. კ. ს. და საქმით მოეხმაროს მათს აღორძინებას, ხალხში შეიტანოს განათლების შუქი, მამულიშვილური თვითცნობიერება, ხელი შეუწყოს თანამემამულეთა ვაჭრობის, ხელოსნობისა და წარმოების განვითარებას... ოჯახსა, სკოლასა, ეკლესიასა და საზოგადოებაში, სადაც-კი ბინადრობს, გაამეფოს მშობლიური სული, აზროვნება, ქართული ენა-მეტყველება...

და როდესაც თითოეული ქართველი თავის თავს მთელი სამშობლოს — სრულიად საქართველოს მონაწილედ გამოაწრთობს, ხოლო სამშობლოს — თავის მაწოვარ ძუძუდ გაბედულად აღიარებს, მაშინ უქნარობა თავისით გაჰქრება და ჩვენსწინსვლას ვერღარა შეაჩერებს...

## ღამის ჩვენება

ვინა ხარ, ვინა, ცის ანგელოსი
თუ ჯოჯოხეთის ზრახვა და ვნება?..

—„მე ვარ ასული საქართველოსი!
მე ვარ, მგოსანო, შენი ოცნება!“

გამომელვიძა .. შემს ყურთბალიშზე
მხურვალე ცრემლი დამდინებოდა...

ვინატრე: ნეტავ იმ ტკბილ სიზმარში
სამარადისოთ დამძინებოდა ..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომი

## პიესა არციბაშევისა

ომი!—ომი!—

თითქო სხვა აღარაფერი დარჩა საფიქრი და საზრუნავი...

თვითონ ხელოვნებაც-კი მოიცვა ამ საშინელებამ და, მაგ. რუსეთში, თუ თითო-ოროლა მკრთალი რამ წამოცდა ხელოვანთ, ეგეც ომის შესახებ, ომის გარშემო.

ძნელია ომის მხარის აქცევა. მეტად მწვავეთ ვგრძნობთ სინამდვილეს და გაჩუმება შეუძლებელია... მაგრამ, როგორც თანამედროვეებს ამ საშინელების განცდისა, ხშირად ბრმა და გაურჩეველი მოთქმა-ტირილი გამოგვიდის, მეტი არაფერი.

ეს ძალიან მაგონებს ჩვენებურ ჭირისუფალთა გოდებას: გული ეწვისთ, ტირიან და ბღავიან, მხოლოდ მათ სიტყვებში რამდენი უაზრობაა, რამდენი უსამართლო სიტყვები, რამდენი გაუგებრობაა.. ჭირისუფალს არც კი შეუძლია რიგზე აწონოს თვისი უბედურება— ის მხოლოდ გაცეცხლებულ გულის უსთეტო ოხვრას აღმოუტევებს...

და, აი, მაგ. რუსეთის სადრამო დარგში ასეთი უსთეტო პიესები ამოატივტივა დღევანდელმა მდგომარეობამ. თვით ლეონიდ ანდრეევის უკანასკნელი პიესა „მეფე, კანონი და თავისუფლება" აგეთი უგასაგისო მოძახილია ჭირისუფალთა ზარისა...

რუსეთის თეატრები გაივსო სამხედრო შინაარსის პიესებით და, რაღა თქმა უნდა, ყველა მათგანი ან ძალიან მკრთალია, ან და მხოლოდ მოუხეშავ გრძნობათა აღმძვრელი. არცა აქვთ გასავალი ასეთ პიესებს.—ერთი, ორი წარმოდგენა და შემდეგ არავინ ეკარება ამ პიესებს.

ზოგი ამბობს: თვით ცხოვრება მეტი საშინელებითაა მოცული, ვიდრე გვიხატავენ, თვით დღევანდელი სინამდვილე მეტი დრამაა, რთული და ფერადოვანი, ვიდრე ხელოვანთა მიერ ნაჩვენები სურათებიო...

ზოგნიც ამტკიცებენ, შეუძლებელია თვითმომქმედმა პირმა, თვით დღევანდელ ცხოვრებაში ჩარეულმა სიდინჯითა და ეპიურად გადმოგვცეს დღევანდელი ყოფის განცდა.. ამას დრო უნდა, ერთგვარი ფილოსოფიური, დამშვიდებული გამოწრთობა ნახელოვნევისა კაცობრიობის აზრსა და გრძნობაში, რომ შემდეგ ხელოვნების საუცხოვო ბრინჯაო ჩამოუყალიბდეს..

მართალს იტყვიან ერთნიც და მეორენიც. კაცობრიობამ არ იცის ხელოვნების ისეთი ნაწარმოები, რომელიც თვით ისტორიის ქარიშხალთა შეხეთქების დროს წარმოშობილიყოს. ეს მომხდარა შემდეგ, მონაქცევზე აი, ჩვენ გუშინაც: საფრანგეთის დიდი რევოლიუცია მხოლოდ 40—50 წლის შემდეგ გადმოგვცეს მხატვრულ ფერადებით რომანტიკოსმა ვიქტორ ჰიუგომ და კიდევ უფრო გვიან რეალისტებმა ერკმან-შატრიანმა. რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას ხომ ჯერ კიდევ არ გასჩენია მისი ნამდვილი მგოსანი, თუმცა რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები უკვე ჩნდება თანდათან.

საზღვარგარეთ ეტყობა ანგარიშს უწევენ ამ გარემოებას და, აი, თეატრის სფეროში, გაზეთებს ამბავი მოაქვთ, რომ მაგ. ლონდონში სრულიად ვერ შეხვდებით სამხედრო შინაარსის პიესასო.

ყოფილა ერთი, ისიც იმ მხრივ, რომ ქადაგებდა სავალდებულო სამხედრო ბეგარის შემოღებას ინგლისში... ეტყობა ავტორმა ვეღარ მოითმინა...

როგორცა ვსთქვი, მართლაც ძნელია მოთმენა და მხარის აქცევა.—თეორია თეორიად, მაგრამ გრძნობას რას უზამ!.. მხოლოდ ამ გრძნობის გამოთქმას დიდი ტაქტი უნდა, დიდი სიმახვილე.. თუ იცი, რომ დღეს გოდებისა და ტირილის მეტი არა მოგიხდება-რა, უნდა ეცადო, რომ ეს შენი გოდება აზრიანი მაინც იყვეს—თუ პროტესტია, პროტესტის კილო სწორედ უნდა იყოს აღებული.

გავიხსენოთ ისევ ჩვენებური ჭირისუფლები: როგორცა ვთქვი, უმრავლესობა მათ შორის ბღავის და გაჰკივის უგასაგისოდ ყოველივე ეს შესაზარია მხოლოდ ყურისათვის და სრულიად არა ხვდება გულს, მაგრამ აგერ მოდის რომელიმე უფრო შეგნებული მოტირალი და სრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიად უეფექტოთ, მაგრამ დამაგებით, დინჯად, — არც წვერს იგლეჯს, არც დაწვს იხოკს — ცრემლ-მორეული, დაკონიურად უბრალო, მაგრამ მკვეთრი სიტყვებით გაგაგებინებს მომხდარ უბედურების საშინელებას, გაგხდის ზიარს მისი ჭირვებისას...

და, აი, არციბაშევიც.. ეტყობა კარგი „მოტირალი" ყოფილა, კარგი „მთქმელი"... მისი უკანასკნელი პიესა „ომი", ეს ჭკვიანი კაცის პროტესტია, რომელსაც არ შეიძლება არ თანაუგრძნო.. იგი უბრალოდ, მქრალი სახეებით გვაგრძნობინებს ამ პროტესტს... მხატვრულისა ბევრი არა ახლავს-რა პიესას, მაგრამ უსათუოდ სათეატროთ დაწერილია, კარგის კამერტონით არის აღებული ჰანგი, ლირიული ადგილებიც სათანადოთ შეზომილი და მთლიანი სურათი პროტესტისა ხელმოსაკიდათ გადმოცემულია.

არციბაშევი ხომ საზოგადოთ გაბედული მწერალია ის თამამად იტყვის ზოგჯერ იმას, რასაც სხვა ან მალავს, მოკრძალებით იუბნებს და ეს გაბედულება მას არც ამ პიესაში უკუ უგდია.

იგი პირდაპირ გმობს ომიანობას. სტუდენტის პირით ერთ ადაგას ამბობს: ომიანობა საზოგადოთ კაცობრიობის უდიდესი სისულელეაო..

კარგა მოგეხსენებათ ფრანგული ანდაზა: „ჩამომღრჩვალის ოჯახში თოკზე არავინ ლაპარაკობსო".

ამის თქმას გაბედვა უნდა! მთელი ქვეყანა ომის პსიხოზით არის შეპყრობილი და ამ დროს თქვენ, შეიძლება ძალიან ძველ სიტყვას, მაგრამ მაინც გაბედულად ეუბნებით, რომ ომიანობა უდიდესი ბარბაროსობაა, ნარჩენი ველურობისა, რომელიც ბოლოს უღებს ყოველ კულტურულ მისწრაფებას ადამიანისასო...

უთუოდ ამ გაბედულობის გამო აკრძალეს პიესის წარმოდგენა მაგ მოსკოვში, მაგრამ ჩვენი ქვეყანა ხომ ახირებულობის ქვეყანაა და ის პიესა, რომელიც მოსკოვში აკრძალეს, ბაქოში აგერ მეხუთედ იდგმება და ხალხიც დიდძალი ეტანება, მიუხედავად იმისა, რომ სატახტო ქალაქების პრესა და ადგილობრივიც კი მტრულად შეხვდნენ ნაწარმოებს...

როგორია პიესის შინაარსი? ამაზე შემდეგ ნომერში.

# გრიგოლ ანაშვილი

(10 წ. სასცენო მოღვაწეობის შესრულების გამო)



გ. ანაშვილი

სახალხო თეატრს დღემდე ბევრი ჯურის კაცი და ქალი გამოსჩენია თანამშრომელ— მზრუნველად, რომელთაგან ზოგი საარშიყოდ მოდიოდა, ზოგი გულის გასართობად, ზოგიც პირადი სარგებლობისთვის ხოლო ძლიერ მცირე ნაწილი საქმის წმინდა სიყვარულით.

და ეს მეორე ნაწილიც ნამდვილი ხალხის გულიდან ამონახეთქი, ხალხის სორცი ხორცთაგანი — ძვალი ძვალთაგანი ყოფილა და არის.

სწორედ ამ წრეს ეკუთვნის გრ. ანაშვილი, რომლის სასცენო მოღვაწეობის 10 წლის შესრულებას სახ. თეატრი დღესასწაულობს ოთხშაბათს, 28 იანვარს. იგი პირველხანად შემთხვევით გამართულ წარმოდგენებში მონაწილეობდა ხოლმე, ბოლოს სახალხო თეატრს მიაშურა და 1904 წ. ენკენისთვეში პირველად „შემოსავლიან ადგილში" მიიღო მონაწილეობა მას შემდეგ დღევანდლამდე საქმისთვის არ უღალატნია და, მიუხედავად იმისა რომ ოჯახის სარჩენად დღიურად მუშაობდა და მუშაობს (ხელოსანია), ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ეღობებოდა, მაინც უანგაროდ მუშაობდა სახალხო თეატრის გასაძლიერებლად. იგი მაინც და მაინც დიდს როლებს არ ასრულებს, მაგრამ რასაც იკისრებს, ყოველივეს განსაკუთრებულის გემოვნებით და თავისებური იერით შეასრულებს ხოლმე. გრ. ანაშვილმა თავისი მოხდენილი და დაკვირვებული თამაშით არა ერთხელ გვიჩვენა, რომ უმნიშვნელო როლების შესრულებაც შესაძლებელია დიდებულად.

ვუსურვებთ დღეგრძელობას საყვარელ სახ თეატრის საბედნიეროდ. **გ ჯაბაური**

# ოჰ, რომ იცოდეთ...

ხედავ ამ ყვავილს? მას მე ვინახავ
მოსაგონებლად იმ წარსულისა,
ოდეს გულის სწორს გავუზიარე
გრძნობა ალმტაცი სიყვარულისა...

——

გაუზიარე და... იმის შემდეგ
დღესაც არ ვიცი, სად არის, სადა?..
ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ ვეტრფოდი!..
ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარდა!..

**ქნარი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამონაკვნესი

მშვიდობით! დაჰკრეს საყვირისა,
კვლავ მეძახიან ბრძოლაზე:
საჩხუბრად, სისხლის საღვრელად,
თოფის, ზარბაზნის სროლაზე:
მხნედ მივალ—ვერვინ დამცინებს
ლაჩარის შვილის ყოლაზე...

არ ვიცი, მკითხველო, წაგიკითხავს თუ არა ის, ცხოველი გრძნობით გამთბარი, ობოლი მარგალიტი პოეზიისა, — ვაჟას ლექსი, *) რომლიდანაც აღებულია ზემოდ მოყვანილი სტრიქონები. მე კი, რამდენად მეტს ვკითხულობ, იმდენად უფრო მიზიდავს ეს სხარტულად და ლამაზ ფორმაში ჩამოყალიბებული ნაკარნახი გრძნობა — სურვილებისა, რითაც მოცულია, ვფიქრობ, ყოველი მეომარი იმ ასიათასიანი ლაშქრისა, რომელიც ისრეთი დაუზოგველობით გაიყვანა ჩვენმა პატარა მხარემ ახლანდელ უმაგალითო ბრძოლის ველზე ..

„მხნედ მივალ — ვერვინ დამცინებს
ლაჩარის შვილის ყოლაზე. ."

ამბობს ჩვენებური ჯარის კაცი, მისი გრძნობა-გონების მესაიდუმლის — ვაჟას პირით. თქვენ შეგიძლიანთ ქართველ კაცის ბუნებაში ბევრი რამ ნაკლი იპოვოთ, მაგრამ მასშივე რომ ჩაუქრობელი რაინდული სული ტრიალებს, იგი რომ ბრძოლის ველზედ "ლაჩარი შვილის სახელს არ ატარებს" და „ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვან სიკვდილს ამჯობინებს, — ეს, როგორც ვაჟავე ამბობს, "თამარის ბარტყებს" დაუმტკიცებიათ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში და ამისავე აურიცხველ მაგალითებს ჩვენ ყოველ დღე ვკითხულობთ გაზეთებში, მაგრამ, — ვაჟავე ამბობს:

„ნეტავ თუ არ გვატირებენ
ბოლოს ვაჟკაცურ შრომაზე!?
ნეტავ თუ დაგვიფასდება
ქართველთა შვილებს ამაგი, —
არ იქცა საყვავ-ყორნედა
ჩვენი ლამაზი ალაგი..."

აი, მართლაც დიდად საგულისხმიერო სიტყვები, რასაც ღრმად უნდა ჩაუკვირდეს ყოველი შეგნებული ქართველი!.. ვინც კი ზერელეთაც არის თვალ-ყურს ადევნებს ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას, იმას კარგად ეცოდინება, რომ ჩვენმა პატარა მხარემ გაიყვანა, — ჯართ უფროსებს გარდა, — 200—300 ათასი ჯანით სავსე ვაჟკაცი, — მშრომელი ნაწილი ხალხისა, რომელიც ისრეთის თავდაუზოგველობით ეწირებიან, ცხრა მთას იქით, საერთაშორისო ომს..· ჩვენი ქვეყნის ვერც ერთ კუთხეში თითქმის ვერ შეხდებით ვერც ერთ ისეთ ოჯახს, სადაც არ გლოვობდნენ ან მამას, ან შვილს, ან ძმას, - ოჯახის იმედს — მარჩენელს. მთელ მხარეს თითქოს გლოვის ძაძა გადახურებია: ყველა თავჩაქინდრული, ჩაფიქრებული დაიარება, აღარავის შერჩენია ხალისი გართობისა. ასეთ დიდ მსხვერპლს სწირავს ჩვენი მხარე იმ, ვიმეორებ, კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო ხოცვა-ჟლეტას, რომლის წარმოშობა - განვითარებაში ჩვენს ერს არავითარი დანაშაულობა არ მიუძღვის, გარდა იმისა, რომ:

"ვცდილობთ რომ საქართველოსა
ვუშველოთ ჩვენის ხარჯითა.
სამშობლოს ბედნიერება
არ გვსურს ვიყიდოთ ვალითა,
ნაღდს ვაძლევთ ჯანს და სიცოცხლეს,
ნამუსი დავიცავითა .."

არ გვინდა ჩვენმა მოძმე-რუსის ხალხმა, იფიქროს, რომ საერთო სახელმწიფოს გაჭირვების დროს ჩვენ ძმურად ხელი არ გაუწოდეთ... მაგრამ რატომ ხდება ისრე, რომ „სხვისი ბამბაც ჩხრიალებს, ჩვენი კაკალიც-კი არა!?" აბა თვალი გადაავლეთ მთელ რუსეთის პრესას, თუ თქვენ იქ შეხვდებით რამე საგულისხმიეროს ჩვენ ეროვნულს ჭირ-ვარამზე, თითქოს ჩვენ, როგორც ეროვნული ერთეული, არც კი ვარსებობდეთ ამა ქვეყნად... თუმცა ამაში არა მცირედი დანაშაული ჩვენვე მიგვიძღვის:

ამ საერთო შეხლა-შეჯახებამ თითქმის ყველა, ჩვენზე მცირე რიცხოვან ერებ-

*) იხ. „სახ. ფურც." № 184

საც კი, ჩაუსახა იმედი პოლიტიკურ აღორძინებისა, უკეთეს მომავლისა. და ამ სანეტარო სურვილმა დაავიწყა შინაურული უთანხმოება, მჭიდროდ შეაკავშირა მათში სხვა-და სხვა კლასები, წოდებანი და შეათანხმა ეროვნულ თავისებურობის და მიწა-წყლის შენარჩუნების სურვილმა. და ამ დიად ისტორიულ მისიაში მათ მხნედ უძღვება ინტელიგენცია,—შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა. და აბა თვალი გადაავლეთ: რამე ამის და გვარი ხდება ჩვენში?!...

დროა ყურებიდან ბამბა გამოვიძროთ, ღრმად ჩაუკვირდეთ არსებულ, შეიძლება გაუმეორებელ პირობებს, თუ გვინდა, მგოსნის თქმისა არ იყოს:

„საყვავ-ყორნედა არ იქცეს
ჩვენი ლამაზი ალაგი...“

**გ. ახალციხელი.**

# აგონია!

ჩამომეხსენით, ნუ მიშხამავთ სალ მსუბუქ ჰაერს. ცბიერნო! ცრემლით ნუ მისველებთ ლბილსა სარეცელს. რად მინდა ცრემლი, თანაგრძნობა უკანასკნელ წუთს? ჩემი სიკვდილით მე ვამარცხებ ტანჯულ სიცოცხლეს.

გააღეთ კარები, დახურული ვიწრო ფანჯარა. მზის სხივები ნაზ ალერსით მიხუჭავს თვალებს. ნიავი ვარდ-ყვავილთა სურნელებას უკმევს ჩემს ცხედარს, და „სულთათანას“ მიგალობს მსრბოლი მდინარე.

ცელქ გაზაფხულის ერთგული შვილი მისვე გულმკერდზე ვეთხოვები სიცოცხლეს შავ ბნელს

ჩამომეხსენით! სიკვდილის ჩრდილი ნაზი ღიმილით მიახლოვდება..

ოჰ! უთხარით იმას, უთხარით, რომ მის ხსოვნას ცივ სამარეშიც ვერ შეველევი.

მიხ. ბოჭორიშვილი




**მსახიობი ალ. იმედაშვილი**
შარჟი შ. **ქიქოძისა**

# რწმენა

ვუძღვნი კ—ს.

„შემინდე, ძმაო, არ მაქვს და რით შეგიწყალო“!ო

— რა ცივი, შეუბრალებელი პასუხია.

არ მაქვსო და... ოქროს საკინძებით მორთული სამოსელი მზესავით ელვარებდა, თვალ-მარგალიტით ამოწყობილი სამაჯური გარემოს ანათებდა...

და მე, ლუკმა პურის მონატრული, ბოგანო, კარ-და-კარ მოხეტიალე, სიცრუით გამისტუმრა:

„შემინდე, ძმაო, არ მაქვს და რით შეგიწყალოო“!

— შთამაგონე, ზეციერო მამაო, ვინ აღმოფხვრა კაცთა გულიდან მცნება:

„გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენიო?“

— ნუ თუ ამ მცნებას დაეკარგა გამკურნელი ძალა თვისი!

— ნუ თუ შენამდე აღარ აღვავლენს, ყოვლის მოწყალე მამაო, რომ ისევ შთაგვინერგო განდევნილი კაცთ სიყვარული!

— ნუ თუ განწმედის ცეცხლში აღარ განივლება ცოდვილი სული ჩვენი!..

...„შემინდე, ძმაო, არ მაქვს და რით შეგიწყალოო“...

მწარე ამოოხვრით დაამთავრა გონებამიხდილმა მთხოველმა მახვილზე ბასრი სიტყვები და სასოებით ხელაპყრობილს უფლისაკენ მიღებული სასოწარკვეთილი თვალები ზეგარდმო მადლით გაუშუქდა ..

**გ. დათიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალი მრძნეული

დრამატიული პოემა 1 მოქმედებად

(გაგრძელება.—იხ. „თ. და ც.“ № 2-3)

**ძნელო** უთხარ მოვიდეს! ხელებს თავით დაიწყობს. მკერდ გადაშლილი ნება-ნებით სუნთქავს ძვირფას ქსოვილიან ტახტზე მიესვენება. შემოდის ჰანგო. მდაბლად თაყვანს სცემს. ერთმანეთს დიდხანს უმზერენ. ჰანგოს უნდა რაღაც ჰკადროს, მაგრამ ქალის მშვენიერებით შეპყრობილი მხერად გარდაიქცევა დიდი სიჩუმე. შემდეგ ძნელო იტყვის:

მოახლოვდი, მოდი აქა!
მომესწრაფი ნორჩი რათა?
ვინ ხარ, ყრმაო, სადაური?
მითხარ შენი საცნაური.

**ჰანგო** მუხლს მოუყრის მთრთოლვარე ხმით
შუქთა მფრქვეველო! მე ვინც ვიყავ, ერთხელ
ვიცოდი!
თავი დავკარგე, რაცხან გულში შენ ჩამივარდი:
დღეს რაც ვარ, ამას შენ თვით ჰხედავ:
შენდა შემცოდი,
რომ მსურს გემონო, შემოგკადრო ამ გულის
დარდი!
სიზმრად გიხილე და ოცნებით შემოგეტრფოდი,
მთელს სამყაროში შორეული ერთი მიყვ რდი!

**ძნელო** მაინც მომიყევ შენი ამბავი და კიდევ
სხვათა.
ვინ ხარ? სით მოხვალ? შენს ყურის გდებად
მე ვარ აწ მზათა!

**ჰანგო**
გრძელია ჩემი ამბავი და, თუ არ შეგაწყენ..

**ძნელო** მძიმე რხევით ხელს გაუწვდის
არა, მომიყე!

**ჰანგო** ისმის ძალიან ნელი მუსიკა
სიყვარულმა შემასხა ფრთანი —
გადმოვიარე ზღვა, ხმელეთი, მაღალნი მთანი;
ჩემი სამშობლო ტურფა მხარე მზიანეთია!
იქ ჩემი ერი კეთილდღეობს, შემწე ღმერთია.
მე მისი შვილი მას ჩანგის ხმით
ვქმნი ალტაცებით.
მყავს ორი ძმაცა. იხსენიებს ხალხი მათ ქებით,
ერთი თუ ჯართა სარდალია და გმირთა-გმირი,
მეორე დიდად განსწავლული, ვით ვინმე მწირი.
მე ჰანგო მქვიან, რაინდს გმირო,
უფროს კი ბრძენო,
შემოჰნატრიან ჩვენს ცხოვრებას:
„ნეტარ ხართ ძენო!“
გმირო ომობს და მტერს იშორებს,
ამხნევებს მხდალსა,
ბრძენო ღვთაებრივს. კანონს უწერს
და სამართალსა,
მე მისიაზრი ვერ მიკლავდა სულის წყურვილსა.
ბუნება ჩემი ალმინთებდა სულ სხვა სურვილსა·
გითხარ, თუ ერთხელ სიზმრად გნახე
და გიძღვენ ქება,
ვსთქვი: იგი არის ჩემი ლტოლვა და მისწრაფება.
მაგრამ სიზმარი ერთხელ გვატკბობს
და შემდეგ ჰქრება.
გნახე და კიდეც ამის შემდეგ დავკარგე შვება.
სოფლად ვსცხოვრობდი და სოფელში
თუ რა ჰხდებოდა,
აღარ მესმოდა, შეყვარებულს გული მბნდებოდა,
სული ოცნებით შებოჭვილი,
შფოთვიან მღელვარე
მოგესწრაფოდა, რომ ენახე სატრფო ელვარე.
სულში ჩათხრობილს მომესმოდა ხმა იდუმალი:
„წადი, ეძიე შენი სატრფო და დედოფალი!
წამოსვლა კიდეც დავაპირე: ჩემი განზრახვა,
ძმებს გავუმჟღავნე, არ მირჩიეს
მათ შენი ნახვა.
და რა გზა ჩემი შენს საძებრად
ვერ წარმემართა,
ამ გულში ბოღმა და წამება ზღვად აღმემართა.
სულის ღელვისგან ავად გავხდი
და დავუძლურდი.
ხალხმა ხომალდი გამიკეთა და გამოვსცურდი.
გამომაყოლა ჩემმა ერმა ამალა მხლებლად.
უფროსი ძმებიც თან გამომყვნენ შენს სა-
ძებნელად.
ზღვას რომ გამოვცდით, გზას ვიკვლევდით
ხმელეთზე ძნელად.
ბევრგან გვხდებოდა დაბრკოლება
ჩვენს სატანჯველად
მაგრამ მე ამ დროს მომესმოდა ხმა იდუმალი;
„წადი, ეძიე შენი სატრფო და დედოფალი!“
ტყე გავიარეთ, ვნახოთ, სამად გზა იყრებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რომელს დავადგეთ“? ძმებსა დარდი
გულს გვეყრებოდა.
ბოლოს სთქვა ბრძენომ: „სამი გზაა,
სამნი ვართ ძმანი.
მე მარჯვნით წავალ, გმირო მარცხნით,
რომ მოსჩანს მთანი,
შენ კი პირდაპირ შარა გრძელი გადაიარე“;
და მეც პირდაპირ გამოვსწიე, ვნახე ეს არე.
ამალა მყავდა. დამეხოცა გზაში მე ყველა.
ოდეს მოვადექ მეცხრე მთასა, მომეცა ლხენა.
ვიხილე შენი ბროლის კოშკი
და ტურფა მხარე.
ვიდრე შენამდის მოვახწევდი სამს წელს ვიარე.
ვინ იცის ძმები დამეღუპნენ, ჰპოვეს სამარე.

**ძნელო** რად სწუხხარ, ყრმაო!—
იმ სამ გზასა, სად დაჰშორდით,
ჩემკენ მოჰყავს არსი ყველა;
ზოგი დიდის დაბრკოლებით,
ზოგიც ჩქარა, ზოგიც ნელა!
ვინც ჩემს ძებნას შეუდგება,
ამ ჩემს კოშკსა ვერ ასცდება!
შენსა ძმებსა აქა ჰნახავ,
ჩემსა რჩევას თუ გაიგონებ
და შენს ბაგეს ჩემს ლბილს ბაგეს
არ დააკონებ,
იცოდე, ოდეს ჩემს ნექტარსა დაეწაფები,
მაშინ შენ თვითონ შენის ნებით მიესწრაფები.
განა თუ შვებას? არა! სიკვდილს!
ადრე დამხობას!
მაშ ჰბატონობდე ვნებით სავსე
შენს ნაზსა გრძნობას.
ეკრძალებოდე ჩემთან ტრფობას,
ჩემთან ლაღობას!

თავისთან ახლო მიიწვევს. ჰანგო მიუახლოვდება.

იქმნებ ამ მკაცრმა ჩემმა სიტყვამ შენ შეგაშინა?
თუ ასე არის, დარჩებოდი მაშ ისევ შინა.
ყოველგვარ ხიფათს ასცდებოდი სწორედ მაშინა,

ეშმაკურის ალერსით

ყელი ჩემკენ მოიღერე,
თვალი თვალში გამიშტერე.
მიჯნურისთვის ტკბილი ჩანგი აჟღერე.
რა ლექსს მძღვნიდი, მსურს ვიცოდე,
დაამღერე!

**ჰანგო** ჩანგზე მღერის რეჩიტატივით:
ეგ თმა ისეთს ფერისაა
ვით სამშობლოს ღამე ბნელი,
როს ცა ღრუბლით დაბურულა,
ხოლო ნისლით მთა და ველი.
ეგ მთა ისე ყელზე ყრილობს,
ვით ნაპირზე ტალღა ნელი.

შენი თვალი მონარნარებს
ვით ციმციმი ვარსკვლავისა;
როს ცისკარი ზე წამოვა,
შუქს მოაფენს მთას კვლავ ისა.
შენის თვალის წამწამ-ისრით
მითხარ, ტურფავ, მოჰკლავ ვისა.

თუ მე?—მაგას არა ვნაღვლობ,
კვლავ სიმღერა შემოვძახო;
სხვამ ვინ მიძღვნას სიხარული?
უტურფესი სხვა ვინ ვნახო?
შენის ხელით თვით სიკვდილი
უკვდავებად დავისახო!

სიმღერას მორჩება. ჩანგს ტახტზე გადააგდებს, თავდავიწყებული ძნელოს მუხლზე ეამბორება. ქალი ჯერ გაუღიმებს, შემდეგ განგებ შუბლს შეიკრავს.

**ჰანგო** რად მიმზერ, ეგრე დედოფალო,
სამდურავითა?

**ძნელო** განგებ ნაწყენი
როგორ შემეხე, კადნიერო, მუხლსა მკლავითა?
არა გრცხვენიან, არც კი მთხოვე
მე მაგის ნება!

გაბუტვით

მე კი რა რიგად პატივს გცემდი...
არ მოგერიდე.
ამას არას გზით გაპატიებ — უნდა წავიდე!

**ჰანგო** დედოფალო, მართლა მტოვებ?

ქალი ყურადღებას არ აქცევს.

დედოფალო, მაპატიე,
თუ მიმიძღვის ბრალი რამე.

**ძნელო** თუ მიგიძღვის? ეგ რას ჰნიშნავს?
არ ხარ განა დამნაშავე?

წასვლას აპირობს. ჰანგო გზას გადაუჭრის და წინ გადაეღობება.

როგორ? ახლა გზას მიღობავ!
შესაპყრობლად მკლავნი ჰშალე?

ჰანგოს ჰსურს რაღაცის თქმა

ხმა არ გამცე!

ქალი ვითომც გამწყრალი სვეტს მიეყრდნობა და ისე უმზერს. სიჩუმის შემდეგ ჰანგოს თითქოს ჰკიცხავს, მაგრამ ისე ამბობს სიტყვებს, რომ თითქოს უალერსებს და ესიყვარულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარ თავხედი, კადნიერი.
მე კი რარიგ მომეწონე;
მე ალერსით გეპყრობოდი,
შენ კი ძალა, სხვა იღონე.
შაბაშ! შაბაშ! ეგ პატივი
აშკარა ჰყავ ჩემ წინ მალე!
შენი ქცევა სულ არ მომწონს..
წადი, ყრმაო, გამეცალე!

ისე უმზერს თითქოს ანიშნებდეს: „არა, დარჩი! რაც გსურ ის ჰქმენ, იცელქეო!“ ჰანგო გაბრუებული სდგას. ძნეო მიეპარება და ხელს მოჰხვევს თავზე და თვალებში ჩასცქერის. სიჩუმის შემდეგ ქალი გაეცლება. ჰანგო მისკენ გაექანება.

**ჰანგო** გრძნობით დედოფალო!
**ძნეო** ცივად როგორ? ჰბედავ განა კიდევ?
**ჰანგო** დედოფალო
**ძნეო** ხმა არ გამცე!
**ჰანგო** შენ რომ ასე...
**ძნეო** განმერიდე
**ჰანგო** მაგ ღიმილით ..
**ძნეო** ჩუმად!
**ჰანგო** ერთხელ ..
**ძნეო** არაოდეს!
**ჰანგო** მაშ ცრემლს ვღვრიდე?
**ძნეო** მერე მე რა მენაღვლება?
**ჰანგო** ცეცხლი რისთვის მომიკიდე?
**ძნეო** მე?
**ჰანგო** შენ!
**ძნეო** ხა, ხა!,
**ჰანგო** გამიგონე!
**ძნეო** ყურს არ გიგდებ, არა, არა!
**ჰანგო** ერთი სიტყვა...
**ძნეო** მსწრაფლ ჰანგოს მიუახლოვდება აგზნებული და რა სიტყვა?
გიჟო, სთქვი, ჰა, აბა, ჩქარა!
სთქვი, ჭაბუკო მშვენიერო!
სთქვი, მგოსანო, ნებიერო!

ერთმანეთს უმზერენ

ს. შანშიაშვილი

(გაგრძელება იქნება)

# მოდი, მოდი...

მახსოვს, მახსოვს ის დღე ტკბილი, ოდეს გიხილე,
ოდეს, ტურფავ, ჩემი დარდი შენ გაგიმხილე;
მაშინ გცანი, ბნელი თვალი, როს ამიხილე,
მაგრამ, ვაჰ, რო შენი სახე მხოლოდ ვიხილე,—
შენის ნებით, თუ სხვის ძალით მსწრაფლ მიმემალე
და შენს ერთგულს შენთან ყოფნა არ დამაცალე!..

——

იქნებ, მხსნელო, იმ გრიგალმა შენც წარგიტანა,
დღეს რომ მისგან ძრწის, ვალალებს მშვიდი ქვეყანა!..
ან იქნება წინ აღუდექ მსვლელს მიჯნურთანა
და კარნახით უარყავი შენც შენისთანა;
მაგრამ არა, არა მჯერა მე ეს შენგანა—
თვით იწოდე, სხვისა ტანჯვას ვერ იგრძნობ განა?!.

——

მოდი, მოდი, ნატვრავ, თორემ გული ღონდება,
შენი სახე შორს მყოფს შორით როს მაგონდება...
გულსა ბინდი ეფინება უშენობითა,
ვით არ შეკრთეს ნაზი ია უმზეობითა!..
მხოლოდ მრწამს კი, რომ შეგხვდები, მზევ მომავლისა,
რადგან შენსკენ არის ჩემი გზა სიცოცხლისა!..

**მიხ. ნინოწმინდელი**



**მსახიობი ი. ზარდალი-შვილი**
ედმონდ კინის როლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მგოსანი ი. გრიშაშვილი

შარჟი მ. ჭიაურელისა



მოხალისე წითელი ჯვრის რაზმში

სტ.-მედიკი დავ. პ. იოსელიანი

დაჯილდოვებული გიორგის ჯვარით და სამი მენდლით გიორგის ლენტზე.

# ბრძოლის ველზე

(სურათი)

## I

— ვის ანაბარად გვტოვებ, შვილო, შენ გენაცვალოს დედაი, ვინ უპატრონოს შენს მამულ-დედულს, მომკილ გასალეწ ყანებს, ვინა?! — შესტიროდა ბაბალე შვილს და ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა დაღარულ ღაწვებზე. დედის ტირილზე პატარა თამრომ და რეზომაც ტირილი დაიწყეს.

— ქვეყანა დიდია, დედი, ღმერთი მოწყალეა, აი ეს გაგიწევთ ჩემს მაგიერობას! — მიუგო დედას გიორგიმ და თავის უმცროს ძმას, თხუთმეტი წლის რეზოს, ხელი მოხვია.

— უშენოთ ვერ გავძლებ, ჩემო გიორგი, ვერა, სიცოცხლეს დავიბნელებ, თუ შენ გევნო რამე! — შეჰქვითინებდა აგრეთვე ქმარს ნინო და თვალთაგან ცრემლის ნაკადი ჩამოსდიოდა. მისი კულული წაბლისფერი კავები, კოჭამდის გადაყრილი ნაწნავები, ისრებივით გადაწნეკილი წარბები, დიდრონი შავი თვალები, მარჯნის ფერი ტუჩები და წერწეტი ტანი ეხლა უფრო გაორკეცებით ატყვევებდა გიორგის გულს, რომელმაც თავი დახარა ახალგაზრდა მეუღლის წინაშე.

— ნუ იდარდებ, ჩემო ნინო, - წარმოსთქვა გიორგიმ სიჩუმის შემდეგ — ან სახელოვანად დავბრუნდები, ან გმირულად მოვკვდები ბრძოლის ველზე, ხოლო უკანასკნელად გემუდარები, არ იდარდო, ჩემს მოხუც დედას არ აწყენინო, ჩემს პატარა მიტოს გაუფრთხილდი. თუ ბედმა მ-მუხთლა და მტერმა გამგმირა, ობლობა არ შეამჩნევინოთ, აღზარდეთ მებრძოლი, დაჩაგრულ სამშობლოს მოსიყვარულე და ჩააგონეთ, რომ ჩემს დამღუპველს სამაგიერო მიუწყოს ოდესმე! — აქ გიორგიმ თავი ვეღარ შეიმაგრა, თავისდა უნებლიედ შეტორტმანდა, გული აუჩუყდა და თვალებიდან ცრემლები ჩამოუგორდა.

— უწინამც დღე გაჰქრობია დედაშენს, რომ შენს ურიგოს არ შეესწროს, ვაი შენს დედას, როგორ მოისვენოს, დედიშენის სამიწე გულმა, შვილო, წყლული ვინ შეგიხვიოს, ვინ მოგხედავს, ვინა!. — შემოიკრა ბაბალემ თავში ხელი და თავდავიწყებით მოეხვია გიორგს.

— ნუ ტირი, დედი, ნუ, შენ უნდა გაუძლეშინო აი ამათ — ხელი მიიშვირა და-ძმაზე და ცოლ-შვილზე — მხოლოდ შენი იმედი მაქვს, შენ გაზარებ ყველაფერს!.. მარტო მე ხომ არა ვარ, აბა შეხედე სულ ჩემი ტოლი ახალგაზდობაა. — თითი გაიშვირა გიორგიმ სადგურისაკენ, სადაც აუარებელ ყმაწვილკაცობას მოეყარა თავი. ყველა გაფაციცებით ეთხოვებოდა მახლობელთ: ზოგი ცოლ-შვილს, ზოგი ძმას, დას და ნაცნობთ. ის იყო მესამედ ჩამოჰკრეს სადგურის ზარას, რომ გიორგიც უკანასკნელად გამოეთხოვა დედას, და-ძმას, ცოლს, პატარა მიტოს, რომელიც გულში ჩაიკრა, გადაჰკოცნა თავდავიწყებით ყველანი და მატარებელზე შეხტა მატარებელმა ერთი საშინლად ამოიქშინა, გასწივლა და მთელი ახალგაზდობა შორს, უცნობ მხარეს ბრძოლის ასპარეზისკენ გაიტაცა. ხოლო ბაბალე და ნინო თვალ-ცრემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანნი სხვებთან ერთად დიდხანს გაჰყურებდნენ მატარებელს სანამ თვალთაგან სრულიად არ მიეფარა.

## II

ზამთრის ცივი ღამე იყო. სუსხიანი ქარი მკაცრად დაჰქროდა ირგვლივ და ახლად მოფიფქულ თოვლს ჰაერში აბორიალებდა. ვარსკვლავები ოდნავ ბჟუტავდენ აქა იქ, ცას ღრუბლის ხალები გაეკეთებინა, მოშავბედებულიყო მთვარე კვლავინდებურად აღარ კაშკაშებდა, ხანდისხან ოდნავ გამოაშუქებდა ღრუბელთა ნაგლეჯებიდან და ხან კი ისევ შავ სამგლოვიარო ძაძას გადიკრავდა, თითქოს მასაც მოსწყენოდა ცოდვილ დედამიწის ცქერა დი პირს არიდებდა, რომ აღარ ეხილა ის ჯოჯოხეთი, რომელიც დაბლა ტრიალებდა.

ქარის ზუზუნთან ერთად მოისმოდა გაშიშვლებულ ტყის ხეების ლაწა-ლუწი, მას ზედ ერთვოდა დაუსრულებელ თოფ-ზარბაზნის გრიალი, რომელსაც წვიმასავით აყრიდნენ ერთმანეთს ორი ძლიერი მოპირდაპირე. ცეცხლის რგოლები საშინლად იკლაკნებოდა ცაში, ელავდა და გრძელ ზოლებს ავლებდა, ისმოდა არეულ-დარეული გამაყრუებელი ყიჟინი. მეომარნი გაშმაგებით აფრქვევდნენ ტყვიას და როგორც მშიერი ვეფხვები ისე მიიწევდნენ წინ-წინ. დანთხეული სისხლი უხვად ესხურებოდა თოვლით დაფენილ მინდორ-ველს და წითლად იღებებოდა არემარე.

ის იყო გათენდა, რომ უეცრად გაისმა არაჩვეულებრივი „ურას“ ძახილი და მეომარნი იერიშით მივიდნენ ერთმანეთზე. მებრძოლნი ახლა ტყვიის მაგივრად ხიშტებით ჰგმირავდნენ ერთი მეორეს.

მოღალულმა მტერმა პირი იბრუნა, შედრკა, ხოლო გამარჯვებულნი უფრო მეტის სიმხნევით მისდევდნენ დამარცხებულთ და გაშმაგებით მუსრს ავლებდნენ...

——

მზემ კარგად შეიმაღლა, რომ შესწყდა ჯოჯოხეთური ბრძოლა. მეომართ შეიქაქანეს, გამოერკვნენ თავდავიწყებიდან. რომელთაც მხოლოდ ეხლა იგრძნეს ის საშინელება, რომელიც თვით შეჰქმნეს. ჰაერი თოფის წამლის სუნით იყო გაჟღენთილი. ბრძოლის ასპარეზი ხომ საშინელ სანახაობას წარმოადგენდა: დაჭრილ-დახოცილთ თვლა აღარ ჰქონდა, ველ-მინდორი ვაჟკაცთა გვამებით იყო მოფენილი. აქა-იქ გაისმოდა დაუსრულებელი გმინვა დაკოდილებისა, რომელიც მონაბერ ნიავს მიჰქონდა შორს, შორს მათ სამშობლო მხარეს ნაცნობ-ჭირისუფლებთან, რომ უკანასკნელად გამოსთხოვებოდნენ მშობლიურ კერას.

## III

დაჭრილ-დახოცილთა შორის გიორგი ლომიძის გმინვაც გაისმოდა· ის მძიმედ იყო გულში განგმირული ტყვიით და მისი სიცოცხლე ბეწვზე-ღა ეკიდა. მკერდიდან თქრიალით გადმოსდიოდა სისხლის ნაკადი და ალისფრად ღებავდა მოფიფქულ თოვლს.

გიორგიმ ირგვლივ მიმოავლო შავი დიდრონი თვალები უცნობ მხარეს და რაკი მანუგეშებელი არავინ იყო, ერთი საშინლად ამოიკვნესა გულის სიღრმიდან, მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე, გადაიხსნა გული, გახია პერანგი და მის ნახევი დაუცო ჭრილობას, რითაც ცოტათი შეაყენა სისხლის დენა.

— გიკვდები, დედი, აღარ მეღირსა შენი ცრემლები! ნინო, ჩემო ნინო, ჩემო ბიჭიკო, სამშობლო მხარევ!..—მოსთქვამდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად გიორგი. ის თითქოს ერთი ხანობა მოსულიერდა, მოიხედა და ფიქრებმა შორს გააქანეს. დაავიწყდა ის რამდენიმე წუთის სიცოცხლე, რომელიც მას დარჩენოდა. მოაგონდა სამშობლო მხარე, მშობლიური მამა-პაპური მიწა-წყალი, ზურმუხტოვანი მომჯადოვებელი მინდორ-ჭალები, ბაღ-ვენახები, თავის ღარიბული სახლი, სადაც მშობელი დედა ნანას დამღერდა, უფრთხილდებოდა, ნიავ ქარს არ აკარებდა, მოაგონდა აგრედვე თავის ტოლები, სადაც პირველი სიჭაბუკე გაატარა და ეხლა კი ყველას მოშორებული უცხო მხარეს, ყველას დაუტირებლად უცრემლოდ ლევდა სულს.

— დედი, დედი! ველარ მოვდივარ! ნინო, ჩემო ნინო არ მიღალატო, ჩემ ბიჭიკოს



**ჯარის კაცი ივ. ელ. თალაკვაძე**
დაჭრილია ხელში, მოსკოვის საავადმყოფოში წევს.

გაუფრთხილდი!..მშვიდობით, მშვიდობით!.. — უკანასკნელი სიტყვები ხმამაღლა წარმოსთქვა გიორგიმ და... უცებ ხმა ჩაუწყდა.. ხელფეხი გაუცივდა, სუნთქვა შეეკრა...

— დედი, დედი! ნინო, მიტო, ნინო!.. — ამოიგმინა გიორგიმ უკანასკნელად, მომაკვდავი თვალები ერთხელ კიდევ მიმოავლო აოხრებულ მიდამოს, ადამიანის გვამებით მოფენილს და სამუდამოდ მანაც დახუჭა თვალები. .

**პ. დვანელი**

# „სიტყვა" გრიშაშვილის პოეზიაში

(დასასრული. იხ. თ. და ცხ. № 2—3)

ცხოვრების თვალუწვდენ, მრავალფეროვან ველზე, მგოსანს უმთავრესად ერთი რამ იტაცებს; ეს არის ტრფობა, სიყვარული სილამაზისადმი. სილამაზის გრძნობა საზოგადოდ ისეთი მიუწდომელი და კონკრეტულად ჩამოუყალიბებია, რომ მგოსანი მხოლოდ ქაოტიურ ლტოლვილებათა მორევში სცურავს, და თან ეს გრძნობა ძლიერი ინტიმიური და სუბიექტიურია; და ჭეშმარიტად ყოველი ინტიმიური განცდანი ობიექტიურად ძნელი გამოსახატავია. მას სჭირდება ის მრავალფეროვანი საღებავები, რომელიც ყველაზე უფრო სიტყვაში გამოიხატება. მგოსანი უფრო მეტ ტრაგიზმს განიცდიდა, რომ ეს ლტოლვა სილამაზისადმი რეალურ სახეში არ ჩამოეყალიბებია. მან აბსტრაქტული, განუსაზღვრელი და უფორმო სრბოლა სინამდვილეში გადმოიტანა:

„ნუ დამძრახავ, გთხოვ სამშობლოვ!
გთხოვ სამშობლოვ ნუ დამძრახავ,
რომ სიყვარულს ზექვეყნიურს მომაკვდავთა გულში ვსახავ!"

ამით კი მგოსანს სილამაზის გამოსახატავად არაფერი დაუკლია; პირიქით მგოსნის ლტოლტვას, უფრო მეტი ნათელი და გარკვეული სახე მიეცა, და მგოსანმაც მეტი სიძლიერე იგრძნო. ეს სიძლიერე მგოსნისა მის სიტყვებსა და ფიგურებში გამოიხატა. იგი, ამ ერთად ერთი, ინტიმიური იდეის გამოსახატავად, მრავალ განუმეორებელ და მრავალფეროვან სახეებს იძლევა. ძლიერი ინდივიდუალი მგოსანი ქმნის სიტყვებს და მკვეთრ ფიგურებს. მაგ. შესანიშნავია მისი სიტყვები:

„და ეს თმები აბურძგვნილი, მივალაგე,
მოვალაგე!"

ასეთივე კარგ შთაბეჭდილებას აღძრავს შანშიაშვილის სიტყვები: „ვენახში ლპება წალამი" (იასონ და რენო). თქვენ აქ რაღაც საღ და ორიგინალურ გრძნობას განიცდით, რომელიც გამოწვეულია სიტყვისა და შედარების ორიგინალობით; გრძნობთ, რომ ეს სიტყვები ნათლად შეეხამება მათ ინდივიდუალურ აზროვნებას. ასეთი „სიტყვათა მქნელობით" გრიშაშვილმა ისეთი ძლიერი სამსახური გაუწია ქართულ სიტყვიერებას, რომელიც არ შეეძლო მთელ ზღვას ნიანგის ცრემლთა, სამშობლოს საკურთხეველზე დაფრქვეულს.

გრიშაშვილის ერთ უმთავრეს, დამახასიათებელ თვისებათ მისი მოხდენილი ფიგურალობა ჩაითვლება. ფიგურებს აზრის გამოსახატავად ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს: ჯერ ერთი, იგი აძლევს ჩვენ ფსიხიურ ენერგიას მიზან-შეწონილებას და მასთანვე ჰმატებს მას სიძლიერეს, ნათელ და მკვეთრ გამოხატულებას.

„ფიგურების საშუალებით ჩვენი სიტყვა თავისუფლად აღწევს თავის მიზანს და ხდება ობიექტიურად ადვილ გასაგებადა და მისაწვდომად" (სპენსერი) გრიშაშვილის პოეზიაში კი ფიგურების მრავალმხრივობა განსაცვიფრებელ სიძლიერეს აღწევს, და ეს ფიგურები ნათლად ეტყობა, რომ მარტო ხელოვნურად არ არის შექმნილი, არამედ მგოსნის ფარულ ფსიხიკაში არის ჩაქსოვილი. მგოსანი თვისი „რეალურ სილამაზის" გამოსახატავად ხან გაღრმავებითი ფიგურებს მიმართავს და თანდათანის სიძლიერით აქანდაკებს სიტყვებში სატრფოს სილამაზეს (მაგ. ლექსი „ოლოლ! ოლოლ!"), ხან

იგი სიყვარულის გრძნობით მთვრალი, რიტორიულად ეკითხება:

„რისთვის უნდა დამივიწყო? რისთვის,
რისთვის? არ გცხვენია?
რად დავმარხო ასე სწრაფად საოცნებო
ღვთის გენია?!“ (ლოცვა.)

ხან კი ძლევამოსილ მანტიაში გახვეული, ქმნის ჰიპერბოლებს და პარადოქსებს, რომელშიაც აშკარავებს თვის ძლიერ და შეუდრეკელ ლტოლვას სილამაზისადმი:

„იალბუზის მთავ! ვფიცავ ჩემს მზეს, და-
გწვავ ალერსით,
დაგიგლეჯ თეთრ თმებს და გავაბამ
ჩემს ჩანგურს სიმად“. (იალბუზის მთავ).

ხან დროებით ივიწყებს ამ ძლევამოსილებას და „იალბუზის მთის მწვერვალიდან“ ეცემა ძირს, რომ ეამბოროს სატრფოს „ფეხის ნატერფალს“ და მგოსანი ქმნის მშვენიერ სურათს, ანტიტეზას.

ძლიერ სიმკვეთრეს აღწევს აგრეთვე გრიშაშვილის პოეზიაში სიტყვების განმეორება და გადატანა („ინვერსია“), რომელიც ასე მოხდენილად შეეხამება ქართულ ენას:

„ის მოსულა!“ ეს სიტყვები, ღმერთო,
რამდენ რამეს ჰბადებს!
„ის აქ არი!“ ქვემო ბაგე ზემო ბაგეს
შეჰღაღადებს!“

განმეორება „ის მოსულა, ის აქ არი“ ფართე ემოციებს აღძრავს მკითხველში. ასეთივეა ლექსი „დამე ტყეში“. ჯერ ერთი, ეს ლექსი ძვირფას მაგალითს წარმოადგენს გაღრმავებითი ფიგურისას და მეორე—განმეორება სიტყვებისა ძლიერ მკვეთრად სცემს ჩვენს ფსიხიკას:

„იქ მე ასე მსურს მოვკოცნო შენი ტუ-
ჩი მოხასხასე,
აი, ასე მსურს მოვკოცნო... აი ასე, აი
ასე ..

მაგრამ მიუხედავად მგოსნის ასეთი ძლიერი ინდივიდუალობისა მას მაინც არ ძალ-უძს სავსებით გამოაშკარავოს თვისი ძლიერი ფსიხიური განცდანი. ამის მიღწევა საზოგადოდ მიუწდომელი არის და არც სასურველია, რადგან ეს შემოქმედებითი წყაროს დაშრობა იქნებოდა.

მოაზროვნე მგოსანი სიული პრიუდომი გულწრფელ აღსარებას სწერს მკითხველისადმი:

„მე გადმოგეცით თქვენ ჩემი ლექსი და იგი გახდა ჩემთვის სულ სხვა; უკეთესი დარჩა ჩემშივე, ჩემ ნამდვილ ლექსს ვერ წაიკითხავთ ვერასოდეს. როგორც სურნელოვან ყვავილებს თავს ევლებიან პეპლები, ისე ჩემ ძვირფას აზრთა გარშემო ირევა მთელი ჯგუფი მგრძნობიარე ლექსების; ხელის მიკარება პეპლებისადმი და მათი გაფრენა ყვავილებიდან ერთია: დასტოვეს მხოლოდ მკრთალი კვალი, თვისი სუსტი ფრთებისა. მე არ შემიძლია დავიჭირო იგინი, თუ არ წავშალე, მათი ნაზი გამოხატულება; აკინძო იგინი ნემსზე, ეს ის არის, რომ მოჰკლა იგინი. ისე ჩვენი სული სავსეა ლექსითა, რომელიც მხოლოდ ჩვენთვის არის გასაგები და სხვისთვის უცნობი.“

მაგრამ რაც სიტყვაში გამოხატა მგოსანმა, სშირად ისიც ძნელი გასაგები და მისაწდომია, და ჭეშმარიტად ყოველი გაგება მწერლისა, უკვე განმეორება უნდა იყოს მგოსნის სულიერი მდგომარეობისა. თქვენ ვერ გაიგებთ გრიშაშვილის შემოქმედებას, თუ ოდესმე თქვენ თითონ არ დამწვარხართ სიყვარულის სახმილით, მაგრამ ეს გაგებაც მხოლოდ ანალოგიურია და არა ადექვატური მართალს იტყოდა ჰუმბოლტი:

„ყოველი ეს მასთანვე გაუგებრობაც არისო“

ამ მხრივ მარად ჭეშმარიტის მეტყველი დარჩება მგოსნის შემდეგი აღსარება:

„დღე დღეს წაიღებს, წელიწადი ძველ
წელიწადებს,
და მაინც ჩემ ლექსს, ფაქიზ რწმენას
და გულის ნადებს
ვერვინ გაიგებს . ვერვინ ახსნის...
ვერვინ მიხვდება.“ (სონეტი)

**მიხ. აბრამიშვილი**

# ქართული სცენის ქურუმნი

## მსახიობქალი ნინო ჩხეიძე

(დიუმასდრამის „მარგარიტა გოტიეს“ წარმოდგენის გამო)



**ნინო ჩხეიძე**

არა ერთხელ დაუტკბივართ და განუსაზღვრელ აღტაცებაში მოუყვანივართ თავისი დიადი, მძლავრი ნიჭით ჩვენი სცენის სიამაყეს, ნინო ჩხეიძეს. გაიხსენეთ მისი სატრიუმფო როლები: მარგარიტა გოტიე, ზეინაბი, მედეა, მაგდა და სხ. ყოველ ამ როლს სასწაულებრივ ასახიერებს, მისი შემოქმედება მაყურებლის წინ ძლიერდება, ყოველ მოქმედების სვლასთან იცვლება, ბობოქრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთის აღიდებულ ჩანჩქერივით და საარაკოდ იზრდება! ქ-ნი ჩხეიძე იმ მსახიობთაგანია, რომელნიც სცენისათვის არიან დაბადებულნი და სცენა კი მათთვის! დასამტკიცებლად, თუ ქ-ნი ჩხეიძე რა ტიპის მსახიობია, ავიღოთ მისი საგვირგვინო როლი მარგარიტა გოტიე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად წარმოადგინა და ერთი თვალის გადავლებით მაინც გავარჩიოთ! მარგარიტა გოტიეს როლში მინახავს ყველასაგან ნაქები რუსეთის გამოჩენილი მსახ ობქალი იავორსკაია! მაგრამ რა? განა ხალხის ქება ყოველთვის ნამდვილ-გონივრულ ქებად მიიღება? რას წარმოადგენს იავორსკაიას მარგარიტა გოტიე, თუ არა ნამდვილ კურტიზანკა—მესალინას?! მისი ვულგარული ინტონაცია, შეუფერებელი მიხვრა-მოხვრა, ზიზღს იწვევს ადამიანში. მინახავს აგრეთვე ქ-ნნი ჟვირბლისი და პასხალოვისა, მაგრამ ისინი უფრო კარიკატურებს წააგავდნენ, ვიდრე დიუმას რომანში აღწერილ კამელიებიან ქალს.

ჩვენი ნ. ჩხეიძე? ოხ, იგი სულ სხვაა! ქ-ნი ჩხეიძის მარგარიტა გოტიე ნამდვილი შესაბრალისი, მსუსხავ გარემოებისაგან გაქელილი ქალია, შეურაცხყოფილი და გმობილი ყინიან მამაკაცთაგან. სიყვარულისთვის სამსხვერპლოდ თავდადებული მარგარიტაა! მხოლოდ ეს სიყვარულიღა დარჩენია მას გულის სიღრმეში, მძლავრი თვისება ვერ მოუკლავთ, ვერ ჩაუქვრიათ სრულიად, ეს უძვირფასესი საუნჯე ყოველ ადამიანისა. მაგრამ რამწამს მოხვდა! ციური ნაპერწკალი მის გულს, წამსვე აფეთქდა და აენთო კვალად წმინდა კელაპტარსავით, დამსხვრეული აკორდიდან მოისმის ტკბილ სიმთა ჟღერა! აი ჩხეიძის კურტიზანკა, გეტერა როგორი ყოფილა?! „ხშირად მოდით, ხშირად ინახეთ ხოლმე, მეგობარო." გაისმის მსახიობქალის ნარნარი ხმა მუსიკასავით. ეს ხომ უბრალო სიტყვებია ამ უსულო ქაღალდზე, ეს ხომ უმნიშვნელოა უბრალო გარდმოცემით, და თუ გნებავთ მისი მნიშვნელობის გაგება, უნდა ნახოთ მარგარიტა გოტიე—ჩხეიძე! ჩვენ არ შეგვიძლიან მისი გარდმოცემა კალმით. დიდებულია მსახიობქალი იქ, სადაც თავის სიყვარულს მსხვერპლად მიიტანს მარგარიტა და შორდება საყვარელ არმანს, რათა გააბედნიეროს მისი და, იხსნას იმ გარემოებიდან, რომელიც „ხალხის სიტყვით" დიდი შეურაცხყოფა იქნება მის მამის ოჯახისთვის, იმგვარ ყოფ-ქცევის ქალთან შეუღლება, როგორიც მარგარიტა იყო წარსულში. მარგარიტა თავის თავს სძლევს და შეჰფიცავს არმანის მამას, რომ იგი თავს დაანებებს არმანს მის დის ბედნიერებისათვის!

ეს სცენა ისეთი ემოციით გადმოგვცა მსახიობქალმა, რომ სულ აათრთოლა მაყურებელი; მსახიობქალის კვნესას შეუერთდა ხალხის ერთბაში ამოგმინვა როდესაც მორჩა, მისცა ფიცი და კმაყოფილი ჟორჟ დიუვალი გაისტუმრა, ქ-ნ ნ. ჩხეიძეს გულიდან უცბად ისეთი სასოწარკვეთილი აღმოოხვრა აღმოხდა, გეგონებოდათ მთის ძირიდან საშინელი ვულკანი ამოვარდა და მსწრაფლ გადაეფარა დედამიწასო; ეს შესაზარი წამი იყო! აქ ნათლად გამომჟღავნდა მისი ტემპერამენტის სიძლიერე და სიდიადე.

თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ამისთანა ტემპერამენტი მსახიობქალს ყოველთვის არა აქვს და სად ჰქრება ხოლმე მისი სიმძლავრე, ვერ გაგვიგია. ერთი მხრით ეს მის ნაკლულოვანებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ეს თვისება ქ-ნ ჩხეიძეს ალაგ-ალაგ დალატობს. შეუძლებელია გადმოცემა იმ სცენისაც, სადაც მარგარიტა—ჩხეიძე არ უმჟღავნებს არმანს თავის სულის სიდიადეს და ჟორჟ დიუვალის აღთქმას არ არღვევს. როგორი ფარული ტანჯვით გადააქვს არმანის მიერ შეურაცხყოფა?! ყოველივე ეს საუცხოვო მხატვრული ნიჭით იყო შესრულებული. მაგრამ ყველაფერი აქამდე უმნიშვნელო იყო იმ საშინელ წამთან, თუ როგორ შეხვდა მომაკვდავი ქალი ძვირფას არმანს! საზარელი იყო იგი და ხალხიც ათრთოლდა. ნანინის სიტყვებიდან მარგარიტა მიხვდება, იგრძნობს საყვარელ არსების მოახლოვებას და ქ-ნი ჩხეიძეც წინადვე აგრძნობინებს ხალხს, თუ რა წამი დგება. გამოჩნდება არმანი, მსახიობქალი უცბად წამოხტება, გასწორდება, საზარელი კივილით შემოეგებება არმანს და... როგორც ელექტრონმა, ხალხს ისე დაურბინა ტანში ჟრუანტელმა. შეუძლებელია გარდმოცემა იმისიც, სადაც მარგარიტა—ჩხეიძე ეხვეწებაა: „ნა-

ნინ, ჩქარა ექიმი, მე სიცოცხლე მინდა, არმან დაბრუნდა, არმანი ჩემთან არი, მიშველე ექიმი, მე სიცოცხლე მინდა!“ ხოლო თუ როგორ მოკვდა მსახიობქალი, ამის წარმოდგენა ხომ სრულიად არ შეუძლიან, ვისაც არ უნახავს თავისივე თვალით და არ გამოუცდია ის, რაც ჩვენ გამოვცადეთ 13 იანვარს, სამშაბათ საღამოს, ვიტყვი მხოლოდ: ამისთანა ხელოვანების პატრონები არიან მარტო საფრანგეთის ღვთაება სარრა ბერნარი და იტალიელების მნათობი ელეონორა დუზე. რაც შეეხება ქ-ნ ჩხეიძის გარეგნობას, მარგარიტაგოტიე სწორედ ზედ გამოჭრილია მსახიობქალზე. თვით შესახედაობა—ტანი, სახის მოყვანილობა, გასაოცრად ჰგავს დიუმას კამელებიან ქალს, ასე რომ მაყურებელი თვალწინ სჭვრეტს არა მსახიობქალს ნ. ჩხეიძეს, არამედ ნამდვილ მარგარიტა გოტიეს.

უფრო ნათლად რომ დავინახოთ ნ. ჩხეიძის ნიჭის სიდიადე, ორიოდე სიტყვას ვიტყვით მის მიერ იდეალურად შესრულებულ ზეინაბის როლზე. გაიხსენეთ ის წამი „ღალატიდან“, სადაც დამარცხებული სოლეიმანხანი მიმართავს ზეინაბს, რომელიც დასტირის შვილის გვამს:

„სოლეიმან: გამარჯვება შენ დარჩა, ზეინაბ!. უბრძანე მომკლან!

ზეინაბი: შენ?! მოგკლან? განა შენ მომკალი, როდესაც ჩემზე გაიმარჯვე?!“

აქ ნ. ჩხეიძე გაიგებს თუ არა სოლეიმანის ხმას, ელვასავით წამოვარდება, ყელს გაიბაძამს ხელებს არწივის ფრთებსავით გაშლის და, ასე გგონია, ეს არის მის წინ მდგომ ნადირის კადაულაფვას უპირებსო, მაგრამ უეცრად ისევ შეიკავებს თავს და მიმართავს: „შენ? მოგკლან?!“ და ამ სიტყვებთან ერთად თითქო მთელი ოცი წლის ბოღმა-ნაველი თან ამოაყოლაო! აქაც ჩვენ არ შეგვიძლიან მკითხველს ვამცნოთ ის, რის ცნობაც გვინდა, ისევ თვალით ნახვა და განცდა უნდა ამას.

არა ნაკლებ ასრულებს მედეას... ვისაც კი უნახავს ამ როლში ქ-ნი ჩხეიძე, უსათუოდ დიდ განცვიფრებაში მოვიდოდა, ჯერ ერთი იმით, რომ ყოვლად შეუძლებელია ასე გამოცვლა, გარდაქმნა თავისი თავისა. მაყურებელი ეჭვში შედის: ნუ თუ ეს ის მსახიობქალია, რომელიც მარგარიტა გოტიეს თამაშობს და ეხლა-კი ჩვენ წინ სულ სხვა ადამიანს ვხედავთ, რომელიც დ დი კონტრასტია ამ ორ ტიპს შორისო!—მეორე კიდევ ის, რომ იმისთანა შესრულება და დახასიათება ზე-ქალის მედეასი, როგორც კოლხიდის ასული მედეაა იმგვარი სულისკვეთების გარდმოცემა, შეუძლიან მხოლოდ ტიტანიური ნიჭის პატრონ მსახიობს.

ყოველივე ეს იმის მოწამეა, რომ ნინო ჩხეიძე ზეციურ ნიჭით არის შემოსილი: მსახიობქალის ელასტიური მიხვრა მოხვრა, ჩინებული პლასტიკა, ყველა ეს უსაზღვრო აღტაცებას იწვევს. დიდათ საყურადღებოა მისი დიქცია და ინტონაცია. ხოლო განსაკუთრებით კი მისი ტკბილი, მოქნილი ხმა, რომელიც ყოველ რეგისტრებს ემორჩილება. შეიძლება მარტო მისი ხმით დატკბეს ადამიანი, თუნდაც მსახიობს ვერ ხედავდეს ნ. ჩხეიძე, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „არისტოკრატიული მსახიობია“. ამის გარდა მსახიობქალს მეტად თავისუფლად უჭირავს თავი სცენაზე: იგი კი არ თამაშობს სცენ ზე, არამედ სცხოვრობს ისე, როგორც სცხოვრობს ყოველი ადამიანი ცხოვრებაში შეიძლება ნ. ჩხეიძის თამაში ზოგიერთებს არ მოეწონოთ, და გასაკვირველიც არ იქნება იმათგან, ვისაც არ აბადია ესთეტიური გემოვნება; მისი მომხიბლავი თამაშის შესაცნობად საჭიროა მაყურებელი ამ თვისებით იყოს დაჯილდოვებული, რომ ქ-ნი ჩხეიძის თამაშმა აღტაცებაში მოიყვანოს...

ვ გარრიკი

# ქართული მუსიკა და დ. ი. არაყიშვილი

ამ სათაურით რუსულ გაზეთის „ნოვა“-ის მე 138 №-ში მოთავსებულია წერილი, რომლის ავტორი ი. ქურხული ჩვენი თანამემამულის კომპოზიტორ დ. ი. არაყიშვილის შემოქმედებას ეხება, მოკლედ არჩევს მის პოემას—„თქმულება შოთა რუსთველზე“-ს, გვაცნობს შინაარსს და ამბობს:

„ხშირად მომისმენია ამ ოპერის ნაწყვეტები, რომელთა ასრულება პეტროგრადსა, მოსკოვსა და თბილისში სრულის გამარჯვებით გვირგვინდებოდა და რომელთაც მუსიკალური სილამაზითა და ორიგინალობით ყოველთვის აღფრთოვანებაში მოვყავდი...

...„დ. ი. არაყაშვილმა საზოგადოებრივ მუსიკისაგან ქართული ნაციონალური მუსიკა გამოაცალკევა და სხვა ერების მუსიკათა შორის საპატიო ადგილიც მიუჩინა მაგრამ კომპოზიტორი ვიწრო ნაციონალიზმით არ იზღუდება და სცდილობს, თავის კომპოზიცია, ჩვეულებრივი ფერადების გარდა, აღჭურვოს ისეთი რამით, რაც ევროპიელის ყოვლად განვითარებულ სმენას

შეუსაბამება. მის შემოქმედებაში, ვით ზღაპარში, რამდენიმე მუსიკალური წყარო ერთ ფერად შეზავებულა და ერთ კალაპოტში მოჩუხჩუხებს“...

ასეთის ქებით იხსენიებს ავტორი პატივცემულ კომპოზიტორს და, რა აღნიშნავს მის ღვაწლს, წერილს ასე ათავებს:

...„ამ გვარად, საქართველო ევროპიულ მუსიკალურ მეცნიერებასა და მხატვრულ მუსიკალურ შემოქმედებას ეზიარება და, ამიტომ, ვუსურვებთ, რომ ამ პატარა ქვეყანასაც, ხელოვნების სალაროში, თავისი სინდისიერი წვლილი შეეტანოს“.

ამავე გაზ. „ნოვ“-ის „№ 138“-ში დაბეჭდილია დ არაყიშვილის პოემის ნაწყვეტები, ქართულ-რუსულ ტექსტით და ნოტებით: „სიმღერა მგოსნისა“, „ქალთა გუნდი“, „ქართული ცეკვა დავლური“, „ქება მგოსანსა“, „კავატინა“ „დუეტი—აბდულ-არაბის და გულჩინასი“. აქვეა მოთავსებული კომპოზიტორის სურათი, რომელსაც აწერია: „დიმ. იგნ არაყიშვილი, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი და ქართული ხალხური სიმღერების მკვლევარი, ავტორი ოპერა-ლეგენდის „თქმულება შოთა რუსთველზე“.

# ქართული სახიობა

**ქართ. მსახიობთა ამხანაგობამ** ალ. წუწუნავას რეჟისორობით 19 იან. სახ. სახლში წარმოადგინა „ტაიფუნი“ (გრიგალი), ელო ანდრონიკაშვილის მიერ ნათარგმნი. პიესაში ერთადერთი აზრია—მოვალეობის მტკიცედ შესრულება, სამშობლოსათვის თავის განწირვა, მხოლოდ სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვა, რამაც უმაგალითო გამარჯვება მიანიჭა „ამომავალი მზის ქვეყანას“ — იაპონიას და წარმატების გზას შეუყენა პიესა (განსაკუთრებით 1 მოქ.) მხატვრულად იყო დადგმული და სრულის ანსამბლით წარმოდგენილი. ბუნებრივი ხატებანი წარმოგვიდგინეს ნ. ჩხეიძემ (ელენე ლაროში), ი. ზარდალიშვილმა (რენარი), ა. იმედაშვილმა (ტოკერამო), განსაკუთრებით საუცხოვო იყო მეორე მოქმედებაში ელენეს რომ მიაჩრჩობს და ბოლო მოქმედებაში. ცოტა აუფერულებდა ბუნებრივი ნაკლი—ლაჯების უშნო მოძრაობა და გრიმის შეუფერებლობა. ა. ყალაბეგიშვილმა (იჰიაზუ), პ. კორიშელმა (ტოიჰუ) და მ. ჭიაურელმა (ინოჩა) თავიდან ბოლომდე საუცხოვოდ, თანდათანობით შეასრულეს თავისი როლები. ყოველი მათგანი სიჩუმის დროსაც-კი ღრმად მეტყველებდა. ტიპიური იაპონელები იყვნენ მ. სარაული (შეიჰფვა) და ა. ივერელი (იოტომო) გომელაური კარგი დამცველი იყო. მ ჭიაურელმა თავისი მშვენიერი გრიმით კიდევ ერთხელ ნათელ ჰყო, რომ მსახიობი, სხვათა შორის, მხატვარიც უნდა იყოს და გრიმს თითონ იკეთებდეს. გვარიანი ტერეზია იყო ა ქიქოძე, მაგრამ როლი რომ სცოდნოდა—უკეთესი იქნებოდა.

წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო.

ამხანაგობამ 21 იანვარს წარმოადგინა „ქრისტინე“.

**წინამძღვარი—ი**

**პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილმა** დრამ. საზ. თაოსნობით გასულ კვირას ახ. კლ. დარბაზში ფრიად შინაარსიანი ლექცია—„ქართული სამართალის ისტორია“ წაიკითხა. ლექციის დასასრულ აღნიშნა, რომ დღეს, როდესაც მსოფლიო ისტორიაში დიადი ამბები ჰხდება და ყველა ერი თვის ყოფა-ცხოვრების მოწყობას ცდილობს, ქართველებსაც ვალად გვაძევს ჩვენი წარსული უფრო გულდასმით შევისწავლოთ და სხვათაც გავაცნოთ, თორემ საე თაშორისო ტრაპეზზე საერთო ჯამში ხელს არავინ ჩაგვაყოფინებსო. შედარებით ბევრი ხალხი დაესწრო, თუმცა ეს ლექცია მეტის ყურადღების ღირსი იყო. დამსწრეთ ხანგრძლივის ტაშით დააჯილდოვეს პატივცემული და საყვარელი პროფესორი. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დრამ. საზ. ძლიერ კარგს გზას დასდგომია და სასურველია ასეთი „დილები“ ხშირად მოაწყოს ხოლმე.

**ი—ელი**

**ქუთაისის თეატრში** 8 იან. ვლ. მესხიშვილის საბენეფისოდ წარმოადგინეს „ედმონდ კინი“, დრ. 5 მოქ. ამ დღეს ქუთაისის თეატრში რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი ხდებოდა. თეატრში ხომ ტევა არ იყო და სანამ შესვლას მოახერხებდა კაცი, ლაზათიანად მიიზილებოდა კასასთან შეგროვილ ხალხისაგან. მიზეზი, რასაკვირველია, მობენეფისე იყო, და არც ერთს დამსწრეთაგანს იმედი არ გასცრუებია. მართალია, არა ერთხელ აღმინიშნავს და ახლაც გავიმეორებ, რომ ქუთაისის სცენაზე არავითარი საშუალება არაა პიესა ხეირიანად დაიდგას, რის გამოც ყველაფერი ერთი და იგივე ტრაფარეტით სწარმოებს, და ამიტომ პიესის დადგმაზე არაფერს ვიტყვი. ერთად ერთი და მთავარი ღერძი ამ საღამოსი ბ. მესხიშვილი იყო. ყოველი მისი სიტყვა, ნაბიჯი, მიხვრა-მოხვრა, გადახედვ-გადმოხედვა გვაგონებდა იმ ლადოს, რომელიც გამიგონია ძველად და მინახავს ამ შვიდიოდე წლის წინად. ზოგიერთი მომენტი მაინც პირდაპირ კლასიკური იყო. სცენა „ლორდ მელვინთან“ (ბ. ფრანგიშვილი რომელიც აქ ძლიერ შეჭირვიანდა), სადაც კინი გამოსახავს უხმოდ მთელ თავის ზიზღს ლორდისადმი, შეუდარებელი იყო. ალაგ-ალაგ მოისუსტებდა, მაგრამ მაში ბრალი მსახიობს არ მიუძღვის: მიზეზი დაღლილობა იყო

უ ლსის პრინცი უკმაყოფილო დარჩებოდა ბ. მგალობლიშვილი რომ ენახა 8 იანვარს ჩვენს სცენაზე. როლი, რასაკვირველია, როგორც ყოველთვის, იცოდა, მაგრამ თავი ვერ ეჭირა ისე, როგორც უნდა ეჭიროსთ საერთოდ დიუმას გმირებს და პრინცს კერძოდ. აკლდა ელასტიობა, არისტოკრატული შეხედულობა.

ბ. გუნიაც გრაფ კეფალდის ქურქში თავს უხერხულად გრძნობდა და, ეს მაშინ, როცა მას შეეძლო სწორედ ნამდვილი გრაფი ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ფრანგიშვილი ლორდ მელეინის როლში, ძლიერ დაიტანჯა. ჯერ ერთი იმით, რომ ჩაცმულობით სრულიად არ გავდა ლორდს და მერე მის სახეზე, როცა კინი ჩინებულად ამკობს მას, არც ერთი ძარღვი, არც ერთი ნაკვთი არ ათამაშებულა. ნუ თუ ასეთი უგრძნობელი იყო ბრწყინვალე ლორდი!

ბ. შალიკაშვილმა უბადრუკი, ერთგული, მოყვარული სუფლიორი სოლომონის როლი, უნაკლულოდ ჩაატარა.

ქ-ნ ტასომ საოცარის სიმკვირცხლით, სიხალისით ჩაატარა პისტოლის, კინის მეგობრის შვილის როლი.

ქ-ნ კ. დავითაშვილის ასული (ელენე) ცივად თამაშობდა მდივნის ასული ვერ იყო მაინც და მაინც კარგი. ანა დემბი, კინის სიყვარულით გატაცებული ქალი, უფრო მკაფიოდ გამოხატავდა თავის აზრს მარტო სიტყვა არ კმარა: სახის, სხეულის მოძრაობა უნდა უწყობდეს ხელს იმას, რასაც სიტყვა გამოხატავს ხოლმე.

ქ-ნ ჯავახიშვილის ასულმა ემმას უმნიშვნელო როლი უმნიშვნელოდვე ჩაატარა.

დანარჩენებზე არას ვიტყვი: ზოგი მათგანი ყოვლად უმწეო იყო, ზოგიც უარესი, მხოლოდ ბ. მურუსიძე (კონ-კუვსი) თავისი შესაფერი როლით გამოჰყო თავისი თავი დანარჩენ გროვასგან.

კვირას, 11 იანვარს, ძალზე მობეზრებული „ორი ობოლი" წარმოადგინა ჩვენმა დასმა.

ხალხი ჩვეულებრივ ბლომად ესწრება..

L,ami

**სახალხო სახლში** ქართ. წარმოდ მმარ. წრემ კ. შათირიშვილის რეჟისორობით 17 იან. წარმოადგინა „სოფლის გმირები", ირეთლის მიერ ე. ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდიდან" გადმოკეთებული. როლები შეფერებულად იყო განაწილებული, მაგრამ წარმოდგენამ მაინც უფერულად ჩაიარა. შიგა და შიგ კარგები იყვნენ კ. ხახანაშვილი (ტარიელ მკლავაძე), ანკარა (ანიკო), ა. მეტრეველი (სპ. მცირიშვილი), მაგრამ მთლი ნობა მაინც ვერ დაიცვეს. მეტად კარგი გამოქნილი მედუქნე იყო რ. სალაყაია, არც მოქეიფე თავადიშვილებს (ვ რატიშვილი, ა ივერელი) და ელ. ციმაკურიძეს (კნ ბუსუსი) უჭირდა, მაგრამ უკეთესები, საუცხოვონი იყვნენ უსიტყვო როლების ამსრულებელნი მეისრე—დარაჯი (ვგონებ ს. რომანიშვილი, გურული მგზავრი (ვ. ნინიძე) და სხ.

**უსავანო**

**ავლაბრის თეატრში** გასულ კვირას ი. ივანიძის რეჟისორობით წარმოადგინეს „პეპო". დაკვირვებული და შეხამებული თამაშით ირჩეოდენ მხოლოდ ი ივანიძე (პეპო), გ. იორდანიშვილი (კაკული), ვ. მარგველაშვილი (კეკე და რ. ჯიბლაძე (სამსონი). გ. გელიკურაშვილს ეგონა ბურნუთის მოწევა ხველას იწვევსო და იგიც ბურნუთით ახველებდა, ქ-ნი ქართველიშვილისა უკეთესი ეფემია იქნებოდა, რომ როლი სცოდნოდა და შესაფერად სცმოდა, ი. რევაზიშვილი უკედ თამაშობდა, მაგრამ მაინც სავსებით ვერ განასახიერა ზიმზიმოვი. დ. რჩეულოვისა (შუშანა) მხარს უჭერდა. წვრილმანებს ტყუილად ყურადღებას არ აქცევენ: მშრალი ბადით შემოსვლა, რომელსაც შლის კიდეც, კარგი არ იყო. როლები სუსტად იცოდნენ, თეატრში ციოდა, ხალხი საკმაოდ დაესწრო.

—**ერი**

# მისაბაძი მაგალითი

ქ-ნო რ-რო! ამასთანავე გაახლებთ მომავალ ლატარიისთვის (თეატრის ასაშენებელ ფონდის სასარგებლოდ) ორ ოქროს გულზე დასაბნევს და ერთ ვერცხლის კოვზს. უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ *)

პატივისცემით **ანნა მაჭავარიანისა**

# წვრილი ამბები

**ქართული თეატრის ასაგებ ფონდის** სასარგებლოდ ხაშურში ადგილობრივმა დრამ. წრემ 17 იანვარს წარმოადგინა ტრ რამიშვილის „საბედისწერო დამბაჩა", წმინდა შემოსავალი 30 მან. დარჩა.

**ქართ მსახ.ამხ-ის** წარმოდგენები სახ. სახლში: 26 იან. „ედმონდ კინი", 30 იან. „ჰენრიხ მეფე ნავარიელი" 31 იან. დილით—„ლალატი".

**გამოჩენილ მოცეკვავე ქალს** ელ. ჩერქეზიშვილს (ევროპაში ელი ჩეროვის სახელით ცნობილი), რომელიც ახლახან დაბრუნდა შვეციიდან, კომპ. კ. ფოცხვერაშვილი საგასტროლოდ თბილისში იწვევს

**ახალი დრამატიული პოემა** „სიკვდილის ღმერთები დასწერა ახალგაზდა მგოსანმა ილ. მოსაშვილმა პოემა შეიცავს 5 მოქ. ოთხი მიწის ქვეშ—„საიქიოში" სწარმოებს, ერთი დედამიწაზე—„სააქაოში"). მომქმედნი პირნი გარდაცვალებულთა სულებია.

**დავ. მესხი სწერს** „თეატრის მოგონებათ". დაიბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

**ქართველ ქალთა საზ-ბამ** 21 იან. ქ. თბილისში ყულაბებით ფული შეაგროვა დაჭრილ ჯარის კაცთათვის წმ. ნინოს ლაზარეთში რამდენიმე საწოლის დასადგმელად.

**ახალი წიგნი —ჯაჯუ ჯორჯიკიას** თხზულებათა ცალკე გამოცემა, მივიღეთ. წიგნი მეტად ფაქიზად და შნოიანად არის დაბეჭდილი ორფერი წამლით, კაბადონები ნაწიბურებით აქვს შემკული, დართული აქვს კიტა აბაშიძის და მ. წულუკიძის კრიტიკული მიმოხილვანი, ავტორის სურათი, შეიცავს 3 2 გვ. (სულ 71 მინიატურა და მეტად იაფად ჰღირს —60 კაპ. ამ წიგნს შემდევ ცალკე წერილს ვუძღვნით. წიგნი გამოცემულია „ნარგიზის მიერ".

**გრიშაშვილის საღამო** 27 იანვ, სახ. სახლში) ხუთის განყოფილებისაგან შესდგება. თვით გრიშაშვილი წაიკითხავს ჯერ დაუბეჭდავ ლექსს „ზღაპარი ჰამაკში", რომელიც გასულ ზაფხულს დასწერა.

**გ. ჯაბაური სალიტერატურო დილას** ჰმართავს სახ. სახლში 30 იანვ ტანისამოსსა და გრიმებში წაიკითხავენ ილ ჭავჭავაძის „განდეგილს". შესაფერ ლექციას წაიკითხავს მ. წულუკიძე. დასაწყისი დილის 11 ს.

---

*) სამივე ნივთი გარდაეცა ქართ. დრამ საზ. გამგეობას.

რედ.

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

წლიწადი მესამე

## მიიღება ხელმოწერა 1915 წ.

ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

იუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით

წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან.

**„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფრ-დასურ მიმართულების გარეშეა**

ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. **ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა**

**ფ ა ს ი:** წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., თითო ნომერი **10** კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს **2** მ., მარტის გასვლამდე **2** მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

**ხელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—**7** ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„განთიად“**-ში, **„ცოდნას“** წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში — **ალ. ძაძამიასთან, ქუთაისში** თ. მთავრიშვილის წიგნთ სავაჭროში ს. **ეპიტაშვილთან**

**მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი: 1** გვ მორიგებით, 2, გვ. კორპუსის სტრიქონი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ., 4 ზე—15 კ. ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Iосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

---

**ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი**

**პარასკევს 30 იანვარს**

**სახლხო თეატრის სცენის მოყვარე გ. ჯაბაურის მიერ გაიმართება**

ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო დ ი ლ ა

**ოთხ განყოფილებად**

**I**

**მ. წულუკიძე** წაიკითხავს ლექციას

## განდეგილზე

**II—III**

# გ ა ნ დ ე გ ი ლ ი

ორ სურათად, ილია ჭავჭავაძის ლეგენდა წაკითხულ იქნება ტანისამოსებსა და გრიმებში

**VI**

**ახალგაზრდა მწერლები,** მსახიობნი და სცენის მოყვარენი წაიკითხავენ სცენებსა და ლექსებს.

**დასაწყისი დღის 11 ს.**

**ფასები სახალხოა**

სცენას დასდგამს ხაროფუხის სცენისმოყვარეთა რეჟისორი **ს. პეპანოვი**

ჟურნალი

# „თეატრი და ცხოვრება“

გასასყიდათ თბილისსა და პროვინციაში გარდაეცა ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელ კანტორა

## „განთიადი“-ს

**გიორგი მაქ. მახარაძეს**

მიხეილის პროსპექტი, № 18. ფოსტის ყუთი № 21.

ყველა გამყიდველთ თბილისისა და პროვინციისა მას უნდა მიმართონ.




**ახალი ქართლი** გამოდის ქ. გორში, კვირაში ორ-ჯერ—ხუთშაბათობით და კვირაობით. წლით 5 მან. ნახ. წ. 3 მ., 3 თვით 1 მ. 50 კ., 1 თვით 50 კ., თითო ნომერი 5 კ. **მოიკითხეთ ყველა გაზ.** რედაქცია-კანტორა- გორი, სამეფო ქ. № 15.
რედ.-გამომცემელი **დ. კარიჭაშვილი.** (5—1)

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.**
ყოველ-დღიური სალიტ. და საპოლიტიკო გაზეთი
**„სახალხო ფურცელი“**
(კვირაობით) **სურათებიანი დამატებით** (კვირაობით)

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1914 წ. გაზეთის ფასი წლიწადში 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. 3 თვით 2 მ. 25 კ. ერთი თვით 75 კ. ცალკე № შაურად, დამატებიანი 7 კ. საზღვარ-გარედ თვეში ზედმეტი 50 კ. ✦ ადრესის გამოსაცვლელი ფასი: თბილისისა თბილისს გარედ, ან თბილისის გარეთისა ისევ თბილისის გარეთისაზე 40 კ. დანარჩენ შემთხვევებში უფასოა. წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით: ხელისმოწერისთანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

**ხელის მოწერა მიიღება:** „სახალხო ფურცელის“ კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. (შესავ. ეზოდან), 2) ქ. შ. წ.-კ. საზ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში, 3) ქუთაისში გიგლა მებუკესთან.
ფოსტით: Тифл., газ. »Сахалхо Пурцели«, почт. ящ. № 190.

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლ. რუსულ გაზეთ
**„ზაკავკაზსკაია რეჩ“-ზე**
გაზეთი წლიურათ ღირს ქალაქში—6 მან. ქალაქს გარედ—8 მან. საზღვარ გარედ—ორჯერ მეტი.
მისამართი: Тифлисъ, »Закавказская Рѣчь« Дворцовая ул. д. Сараджева
რედაქტორი **თავ. კ. პ. თუმანიშვილი**
გამომცემელი **ე. დ. გორდელაძე**

**„თეატრი და ცხოვრების“** კანტორაში ისყიდება გ. თუმანიშვილის წიგნი

**Характеристика и воспоминанія**

(ქართული თეატრი—ქართველი და სომეხი მწერლები და სხვა მოღვაწეები.—რუსის მწერლები ჩვენში და სხვ.) სამი ნაწილი, ფ. თითო ნაწილის—50 კაპ.
მთელი შემოსავალი დანიშნულია ქართულ თეატრის აღსადგენად ფონდის გასაძლიერებლად. (5—3)

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.**
**„თემი“** საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით. წლით 2 მ. 20 კ., ნახევარი წლით 1 მ. 25 კ. თითო №—5 კ.
რედ.-გამომცემელი **გრ. დიასამიძე.**
მისამართი: Тифлисъ, ред. »Теми« Ольгинская, д. Діасамидзе, № 4.

**ქართულ კულტურის**
მოყვარეთა საზოგადოების
თათბირით **კვირას, 25 იან. დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში** (ბეღინსკის ქუჩა, სახლი № 2) გაიმართება მორიგი კრება ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებისა.
კრების საგანი:
საუბარი ქართულ მართლწერის შესახებ (15 იანვრის კრების გაგრძელება).
დასაწყისი დილის 11 საათზე.



Типографія „Сорапань“ სტამბა „სორაპანი“